ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ფრაქცია პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარის შალვა დოლიძის ანგარიში

უფლებამოსილების ცნობიდან 02.08.2014 დან დღემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2014 წლის აგვისტოდან დღემდე) ჩემს საქმიანობას წარვმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

მოსახლეობას ვხვდებოდი ყოველთვიურად, შეხვედრებს ვმართავდი ამომრჩეველთა მიღების დადგენილ დღეებში, როგორც სოფლის, ასევე ადმინისტრაციულ შენობაში.

ვარ ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე.

1. ჩატარებული მაქვს ფრაქციის 10 სხდომა.

2. დავესწარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 სხდომას, რომელზეც მიღებულ იქნა 100 განკარგულება, დამტკიცდა 49 დადგენილება.

3. მონაწილეობას ვიღებდი „ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის“, აგრეთვე „ განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა“ კომისიებში.

მიმაჩნია, რომ განვლილი საანგარიშო წლის პერიოდში, ჩემი საქმიანობა იყო მაქსიმალურად მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული. ვიმედოვნებ, რომ საანგარიშო პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, როგორც საკრებულოს წევრის საქმიანობა, მომავალში კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება.